# სტრატეგიული გეგმა 2020 2023

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# თავმჯდომარის მიმართვა

ძვირფასო მეგობრებო და საარჩევნო ადმინისტრაციის პარტნიორებო,

წარმოვიდგენთ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიულ გეგმას. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია მუდმივად ვითარდება, ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს და პასუხობს მის წინაშე მდგარ გამოწვევებს. ყოველი სტრატეგიული გეგმა შესაბამის პრიორიტეტებზე, მიზნებსა და ამოცანებზეა დაფუძნებული.

2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ: ინსტიტუციური გაძლიერების, სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლების, საარჩევნო გარემოს განვითარებისა და საარჩევნო ოპერაციების დახვეწის მიმართულებით.

ჩვენ წინაშე მდგარ ახალ გამოწვევებს, როგორც ღია, კომპეტენტურმა და სანდო ინსტიტუციამ, უნდა ვუპასუხოთ დემოკრატიული საარჩევნო პროცესის კიდევ უფრო განვითარებითა და განმტკიცებით. სწორედ ამ ხედვის შესაბამისია ახალი სტრატეგიული გეგმა.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არ მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საარჩევნო გარემოს ფორმირებასთან, თუმცა კანონმდებლობით არ არის მოქცეული საარჩევნო ადმინისტრაციის მოქმედების მანდატში. ამასთან, ჩვენ მუდამ მზად ვართ, კომპეტენციის ფარგლებში, ჩავერთოთ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში და წარმოვადგინოთ ჩვენი პროფესიული ხედვა პრაქტიკული იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

მინდა, მადლიერება გამოვხატო საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიმართ ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში შეტანილი წვლილისა და გაწეული ექსპერტული დახმარებისთვის.

ვიმედოვნებ, 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იქნება გზამკვლევი დოკუმენტი, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, ისე არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის და მისი განხორციელებით ერთობლივად ხელს შევუწყობთ ქვეყნის განვითარებას და წარმატებას.

**თამარ ჟვანია**

*საქართველოს ცენტრალური*
*საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე*

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

# განკარგულება №212/2019

**საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების თაობაზე**

ქ. თბილისი 2019 წლის 26 დეკემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14-ე მუხლის პირველი პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

**კომისიის თავმჯდომარე** **თამარ ჟვანია**

**კომისიის მდივანი** **გიორგი ჯავახიშვილი**

# სარჩევი


| | |
|---|---|
| შესავალი | 03 |
| მანდატი | 06 |
| სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი | 07 |
| ხედვა, მისია, ღირებულებები | 09 |
| სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები | 11 |

# შესავალი

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2015-2019 წლების განმავლობაში პროფესიულ დონეზე ჩატარებული არჩევნები ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული, გაიზარდა საზოგადოების ნდობა საარჩევნო პროცესისა და ადმინისტრაციისადმი.[1]

საზოგადოების კეთილგანწყობის დინამიკა და საერთაშორისო აღიარება დასტურდება როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის კვლევებით, ისე იმ საერთაშორისო ჯილდოებით, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციამ მიიღო 2015-2019 წლებში შემდეგ ნომინაციებში:

- მოქალაქეთა ჩართულობა;
- საარჩევნო კონფლიქტების მართვა;
- უმცირესობების ჩართულობა;
- არჩევნების მართვა;
- ინოვაციური პრაქტიკის დანერგვა.

ამასთან, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას გადაეცა ჯო სი ბაქსტერის ჯილდო საარჩევნო პროცესების განვითარების ხელშეწყობისთვის.

1 სამი საერთო არჩევნები (საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები), 12 შუალედური და სამი რიგგარეშე არჩევნები.

2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის განხორციელების შედეგად:

- დაინერგა დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემა, რამაც გააუმჯობესა მართვის მექანიზმები. ასევე, განვითარდა არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის შედეგად საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესთან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული დიდი მოცულობის ინფორმაციის ერთიან ბაზაში ასახვასა და მართვას;
- დაინერგა ელექტრონული არქივის პროგრამა, რაც ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური მეხსიერების სრულყოფას;
- შეიქმნა და დაინერგა ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამა, რომელმაც გაამარტივა სარეგისტრაციო პროცედურები პოლიტიკური პარტიებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის;
- განვითარდა ტრენერთა კორპუსი, რომლის შემადგენლობაც გაძლიერდა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებით. ტრენერები საარჩევნო საკითხებზე ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად ატარებენ საგანმანათლებლო პროგრამებს არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის, ასევე, საკვალიფიკაციო სასწავლო პროგრამებს – საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის;
- შეიქმნა და განხორციელდა ახალი საარჩევნო საინფორმაციო/ საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის. საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებში განხორციელებულმა სასწავლო პროგრამებმა აამაღლა ცოდნა საარჩევნო საკითხებისადმი; ცესკოს ინიციატივით დანერგილმა პროგრამამ „საარჩევნო განვითარების სკოლა“ ხელი შეუწყო ახალგაზრდების საარჩევნო და სამოქალაქო პროცესებში ჩართულობის ზრდას;
- დაინერგა ამომრჩევლების ინფორმირებისა და მათთან კომუნიკაციის ახალი მექანიზმები. ინფორმირების კამპანიამ „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ხელი შეუწყო საარჩევნო ადმინის-ტრაციასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

- დაინერგა ინოვაციური სერვისები, რამაც ხელი შეუწყო ამომრჩევლების საარჩევნო უფლებების რეალიზებას. ამომრჩევლებს პირადი მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობა გაუჩნდათ ცესკოს ვებგვერდის (voters.cec.gov.ge), მობილური ტელეფონის, პლანშეტისა და ქვეყნის მასშტაბით განთავსებული სწრაფი გადახდის აპარატის მეშვეობით;
- განვითარდა სერვისები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რამაც გაზარდა არჩევნებში მათი დამოუკიდებლად მონაწილეობა;
- გაძლიერდა ინფორმირების შესაძლებლობები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის, რამაც ხელი შეუწყო მათ ინტეგრირებას საარჩევნო პროცესში;
- განვითარდა საარჩევნო უბნების უსაფრთხოების მექანიზმები სხვადასხვა ინსტიტუციებთან თანამშრომლობით;
- შემუშავდა და ხორციელდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკა;
- განხორციელდა ელექტრონული ხმის დათვლის ორი საპილოტე პროექტი შემდგომში მისი გამოყენების მიზანშეწონილობის შესწავლის მიზნით. აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებდა რამდენიმე საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის ელექტრონული მანქანების გამოყენებით, არჩევნების წინასწარი შედეგების სწრაფ დათვლას, რაც წარმატებით განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებულმა რეფორმებმა და მართვის თანამედროვე მეთოდებმა ხელი შეუწყო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას. მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა დასტურდება ISO 9001:2015 სერტიფიკატით.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიულ გეგმას, რომელიც შემუშავდა წინა სტრატეგიული გეგმის განხორციელების შედეგების, ჩართულ მხარეთა მოლოდინების, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების და ახალი გამოწვევების ანალიზის საფუძველზე.

# მანდატი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაცია ორგანიზებას უწევს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს და აკონტროლებს ყველა დონის საარჩევნო კომისიებს და უზრუნველყოფს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიულ გეგმას განახორციელებს:

- ცესკო და მისი აპარატი;
- საოლქო საარჩევნო კომისიები;
- საუბნო საარჩევნო კომისიები.

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესში კომპეტენციის შესაბამისად ჩართულია სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი), რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ცესკო.

# სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი

საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად გამოყენებული იყო საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება სტრატეგიის დაგეგმვის და განხორციელების შემდეგ ეტაპებს:

- პროცესის ინიცირება;
- სტრატეგიის შემუშავების სამოქმედო გეგმის განსაზღვრა;
- სტრატეგიული საფუძვლების განსაზღვრა;
- ორგანიზაციული შეფასება;
- სტრატეგიული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- კონსულტაციები ჩართულ მხარეებთან;
- სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავება და დამტკიცება;
- სტრატეგიული გეგმის თანამშრომლებამდე დაყვანა;
- სტრატეგიული გეგმის განხორციელება.

საარჩევნო ადმინისტრაციის ოთხწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნის მიზნით, ცესკოს თავმჯდომარის 2019 წლის 6 თებერვლის №01-05 ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ძირითადი გუნდი (ძირითადი გუნდი).[2]

2 ძირითადი გუნდის ხელმძღვანელი, ცესკოს პრესს-სპიკერი – ანა მიქელაძე; ძირითადი გუნდის წევრები: კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი – სოფიო სიჭინავა; საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი – ქეთევან დანგაძე; საფინანსო დეპარტამენტის უფროსი – ოთარ ბუსკივაძე; ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი – თამარ შუკაკიძე; ცესკოს თავმჯდომარის მრჩეველი – თამაზ შარმანაშვილი; სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი – ნათია ზაალიშვილი; იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - გიორგი კალანდარიშვილი; კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – ივეტა ჭელიშვილი; კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – ნიკოლოზ პროსტოსერდოვი.

ძირითადი გუნდი სტრატეგიის შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ცესკოს წევრებთან, ცესკოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებთან, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სწავლების ცენტრთან. შესრულებული სამუშაოს შესახებ პერიოდულად წარუდგენდა ინფორმაციას ცესკოს ხელმძღვანელ პირებს.

ძირითადმა გუნდმა:

- განსაზღვრა სტრატეგიული გეგმის შემუშავების სამოქმედო გეგმა;
- განახორციელა სტრატეგიული გეგმის წინა მოსამზადებელი სამუშაოები შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენებით[3];
- შეისწავლა სხვადასხვა ფორმატის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე ჩართული მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მაქსიმალურად ასახა წინამდებარე დოკუმენტში;
- განსაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნდამენტური სამოქმედო პრინციპები, მისია, ხედვა და ღირებულებები;
- შეიმუშავა საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები;
- სტრატეგიული გეგმის პროექტი კონსულტაციების მიზნით გააცნო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს;
- შეიმუშავა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის და შეფასების გეგმა;
- გამართა სამუშაო შეხვედრები ცესკოს წევრებთან;
- წარუდგინა სტრატეგიული გეგმის, ასევე მისი მონიტორინგის და შეფასების გეგმის პროექტი ცესკოს თავმჯდომარეს.

ცესკომ 2019 წლის 26 დეკემბრის N212/2019 განკარგულებით დაამტკიცა საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა, ხოლო მონიტორინგის და შეფასების გეგმა დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით. ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა გააცნეს არჩევნებში ჩართულ მხარეებს, ხოლო ძირითადმა გუნდმა – საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით, ყოველწლიურად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას.

3 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასება; ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი (SWOT); შეუსაბამობების/საჭიროებების ანალიზი (GAP); ჩართული მხარეების შეფასებების, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებისა და საზოგადოებრივი აზრის სხვა-დასხვა კვლევების ანალიზი.

# ხედვა, მისია, ღირებულებები

ჩვენი ხედვაა, როგორც ღია, კომპეტენტურმა და სანდო ინსტიტუციამ უზრუნველვყოთ დემოკრატიული საარჩევნო პროცესის განვითარება და განმტკიცება.

ჩვენი მისიაა საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა, თანაბრად ხელმისაწვდომი, ეფექტიანი, ინოვაციური სერვისების მიწოდება ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის, საარჩევნო პროცესების უსაფრთხოდ და სანდოობის საერთაშორისო სტანდარტით წარმართვა.

მისიის წარმატებით განსახორციელებლად გამოვხატავთ კორპორატიულ ერთგულებას შემდეგი ღირებულებებისადმი:

### დამოუკიდებლობა

ჩვენ ვმოქმედებთ მხოლოდ კანონის ფარგლებში და გადაწყვეტილებებს ვიღებთ არჩევნებში ჩართული მხარეების ზეგავლენისგან დამოუკიდებლად

### მიუკერძოებლობა

ჩვენ ვიღებთ ობიექტურ და კანონზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს ყველა მხარის მიმართ

### გამჭვირვალობა

ჩვენ უზრუნველვყოფთ საქმიანობის ღიაობას, საჯაროობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საზოგადოებისთვის

### პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

ჩვენ ვმოქმედებთ პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტით და კანონმდებლობით განსაზღვრული ინსტიტუციების გარდა რეგულარულად წარვუდგენთ საქმიანობის ანგარიშს საზოგადოებას

### პროფესიული სანდოობა და ეთიკა

ჩვენ საარჩევნო პროცესს წარვმართავთ კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოხელეებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საარჩევნო პროცესის სანდოობას

### ინოვაციურობა და სერვისზე ორიენტირება

ჩვენ საარჩევნო პროცესში ვნერგავთ სიახლეებს საჭიროებების გათვალისწინებით და ჩართულ მხარეებს ვაწვდით ხარისხზე ორიენტირებულ მომსახურებას

### ინკლუზიურობა და გენდერული თანასწორობა

ჩვენ ხელს ვუწყობთ ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას და ვითვალისწინებთ გენდერული თანასწორობის ასპექტებს

### პროაქტიულობა და ჩართულობა

ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან სანდო, დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად

# სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

## სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო კულტურა და განათლება

*ეფექტური და ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ამომრჩეველთა და სხვა ჩართული მხარეების ინფორმირება, რაც განამტკიცებს საარჩევნო კულტურას, გაზრდის ამომრჩევლებისთვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.*

| სტრატეგიული მიზანი: | სტრატეგიული ამოცანა: |
|---|---|
| 1.1. ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება | 1.1.1. ეფექტიანი საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრა და განხორციელება<br>1.1.2. ინოვაციური ინფორმირების კამპანიის განსაზღვრა და განხორციელება |
| 1.2. ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა | 1.2.1. პატივისცემასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობა არჩევნებში ჩართულ მხარეებთან<br>1.2.2. საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმების პატივისცემის უზრუნველყოფა<br>1.2.3. ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ |

## სტრატეგიული პრიორიტეტი 2. არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება

*უსაფრთხო, სანდო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად არჩევნებში ჩართულ მხარეებთან ერთად ქმედითი მექანიზმების შემუშავება და განხორციელება.*

| სტრატეგიული მიზანი: | სტრატეგიული ამოცანა: |
|---|---|
| 2.1. საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა | 2.1.1. დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება<br>2.1.2. მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად მექანიზმების შემუშავება და განხორციელება<br>2.1.3. საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება<br>2.1.4. გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა<br>2.1.5. საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძლიერება<br>2.1.6. არჩევნების შედეგების სწრაფი/დროული გასაჯაროების უზრუნველყოფა |
| 2.2. უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა | 2.2.1. საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველსაყოფად ეფექტიანი მექანიზმების განხორციელება<br>2.2.2. სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის გაძლიერება არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარების მიზნით |
| 2.3. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერ საფრთხეების აცილების მიზნით | 2.3.1. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესება<br>2.3.2. კიბერ უსაფრთხოების გაუმჯობესება |

## სტრატეგიული პრიორიტეტი 3. საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები

*საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია.*

| სტრატეგიული მიზანი: | სტრატეგიული ამოცანა: |
|---|---|
| 3.1. საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება | 3.1.1 საარჩევნო სერვისების მიწოდება, ოპერაციების სტანდარტიზაცია და ოპტიმიზაცია<br>3.1.2. საარჩევნო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება<br>3.1.3. საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივება ამომრჩეველებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის |
| 3.2. ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით | 3.1.1. ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება<br>3.1.2. საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტიანად გამოყენება |
| 3.3. საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა | 3.3.1. საარჩევნო სისტემის, საკანონმდებლო სიახლეების იმპლემენტაცია და საკანონმდებლო ჩარჩოს ერთგვაროვანი აღქმის ხელშეწყობა<br>3.3.2. საარჩევნო პროცედურების გამარტივება და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწა |
| 3.4. საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა | 3.1.1. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა<br>3.1.2. ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო პროცედურების გამარტივება |

## სტრატეგიული პრიორიტეტი 4. ინკლუზიური საარჩევნო გარემო

*თანაბარი, ყველასათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს განვითარება, საარჩევნო პროცესში ყველა მხარის ჩართულობის ხელშეწყობა.*

| სტრატეგიული მიზანი: | სტრატეგიული ამოცანა: |
|---|---|
| 4.1. საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება | 4.1.1. საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფით<br>4.1.2. საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა სპეციალური ჯგუფების[4] ჩართულობის წახალისება |
| 4.2. თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა | 4.2.1. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელება<br>4.2.2. საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისება |

4 იძულებით გადაადგილებული პირები, ეკო მიგრანტები, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები და სხვა.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 5. მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება

*მართვის ეფექტიანობის ზრდისა და ინსტიტუციური სრულყოფის შედეგად არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის სათანადო ხარისხის სერვისების მიწოდება.*

| სტრატეგიული მიზანი: | სტრატეგიული ამოცანა: |
|---|---|
| 5.1. მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება | 5.1.1 მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) განვითარება<br>5.1.2 რისკებისა და კრიზისების მართვისა შესაძლებლობების განვითარება<br>5.1.3 ელექტრონული ინსტრუმენტების საშუალებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება<br>5.1.4 ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება<br>5.1.5 შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით მექანიზმების დახვეწა |
| 5.2 ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება | 5.2.1 თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა<br>5.2.2 ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და წახალისება<br>5.2.3 ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორატიული კულტურის განმტკიცება |

ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020–2023 წლების სტრატეგიული გეგმა